

ლიტერატურა

1. Освальд Шпенглер и закат Европы. [magister.msk.ru>ocr>philos/shpng104.htm](http://magister.msk.ru/ocr/philos/shpng104.htm).
2. Бердяев Н. Судьба России. II Проблема национальносит. Конец Европы. [kratov.info>library/02-b/berdyayev/1918_15_13htm](http://kratov.info/library/02-b/berdyayev/1918_15_13htm).
3. Бьюкенен П. Смерть Запада. [lib. rus. ec>Книги>4577/read](http://lib.rus.ec/Книги/4577/read)
4. Фукуяма Ф. Конец истории и последний человек. [lib.ru. POLITOLOG/FUKUYAMA/KONEC_istorii.txt](http://lib.ru/POLITOLOG/FUKUYAMA/KONEC_istorii.txt)
5. Малашхия Г. Экономика человечная. Экономико-философские суждения. Санкт-Петербург-Тбилиси. 2009. с. 250.
6. Глобализация мировой экономики: проблемы и последствия. chin.run.pass/management/roof-3/10shim
7. Электронная версия бюллетеня Население и общество. № 249-250 (19 января -1 февраля 2009)
8. [www.htt. planeta.by/artikle/47](http://www.htt.planeta.by/artikle/47)
9. Неведимов Д., Религия денег или лекарство от рыночной экономики. с. 490. www.koob.ru

მეზი ბორბასლიძე

ეკონომიკის დოქტორი, აკადი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სახელმწიფო მეწარმეობა - საბაზრო ეკონომიკის რეგულირების მნიშვნელოვანი ბერკეტი

საბაზრო ეკონომიკის წარმატებული ფუნქციონირება დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ მისი რეგულირების სწორად შერჩეულ მეთოდებზე. რამდენადაც ეკონომიკის სწრაფი განვითარების პირობებში ადგილი აქვს ეკონომიკური რესურსების მტაცებლურ გამოყენებას, რომლის თანამდევი პროცესებია არახელსაყრელი ეკოლოგიური შედეგები, ეკონომიკური კრიზისები, ამდენად, სახელმწიფო თავისთავზე იღებს წარმოების, დასაქმების, ფასების დონის და რესურსების განლაგების ოპტიმალური მოდელების შერჩევას. ამ მიზნით სახელმწიფო ქმნის ეკონომიკის ფუნქციონირების სამართლებრივ საფუძვლებს, ანტიმონოპოლიური რეგულირების კანონებს, მიკროეკონომიკური და მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პირობებს, ფინანსური რეგულირებისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის დონისძიებებს.

საბაზრო ეკონომიკის რეგულირებას სახელმწიფო თავისი მეწარმეობრივი საქმიანობითაც ახორციელებს, რაც ნიშნავს ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორის არსებობას და ფუნქციონირებას.

სახელმწიფო მეწარმეობას მიეკუთვნება სამხედრო მრეწველობის, ენერგეტიკის, კავშირგაბმულობის, საჰაერო, სარკინიგზო და საქალაქო ელექტროტრანსპორტის საწარმოები, აგრეთვე მოსახლეობის ფართო ფენების ერთობლივი მოხმარების საწარმოები

სახელმწიფო მეწარმეობა - საბაზრო ეკონომიკის რეგულირების მნიშვნელოვანი ბერკეტი

- ქალაქის დასუფთავების, ქუჩების განათების, გზების მშენებლობის, ეკოლოგიური სამსახურის სახით. ეს ისეთი საქმიანობის სფეროებია, რომლებიც ზოგჯერ ბიზნესის კერძო სექტორისათვის არ არის მიმზიდველი, ამიტომ ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის ხარჯზე ხდება მისი დარეგულირება. ასეთი ტიპის საწარმოების გაკოტრების საფრთხე მინიმალურია, რადგანაც სახელმწიფო არის საქონლისა და მომსახურების მთავარი დამკვეთი და შემსყიდველი. სახელმწიფო პირდაპირ და არაპირდაპირ ზემოქმედებას ახდენს რესურსების განაწილებაზე ქვეყანაში, რითაც ხდება ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლება.

სახელმწიფოს ერთ - ერთი უმთავრესი მიზანი არის ბიზნესის აყვავების ხელშეწყობა. ეს აიხსნება იმით, რომ საზოგადოების კეთილდღეობა დამოკიდებულია ცალკეული საწარმოების წარმატებაზე, რის გამოც სახელმწიფო გვევლინება ბიზნესის მეგობრად, პარტნიორად და დამკვეთად. ბიზნესისადმი სახელმწიფოს მხარდაჭერა სხვადასხვა სახით შეიძლება გამოვლინდეს: მოქნილი საგადასახდო პოლიტიკით, ხელსაყრელი მონეტარული პოლიტიკით, რაც ეკონომიკური ზრდის წახალისებას იწვევს; სუბსიდიებით, საკრედიტო მხარდაჭერით, სპეციალისტების მომზადებით, ინფრასტრუქტურის შექმნით, საქონლისა და მომსახურების შესყიდვით და ა.შ. თავის მხრივ, სახელმწიფო ღებულობს გარკვეულ შემოსავლებს თავისი ეკონომიკური საქმიანობიდან: ასეთი შემოსავლების წყაროა ბიზნესზე არაპირდაპირი გადასახადები (გადასახადი გაყიდვაზე, დამატებითი ღირებულების გადასახადი, აქციზები, ქონების გადასახადი, სალიცენზიო გადასახადი და სხვ.), რონლებიც ზრდიან პროდუქციისა და მომსახურების ფასს. სწორედ ფასის ნაზრდი არის სახელმწიფოს შემოსავალი, რომელიც შემდეგ ისევ საზოგადოებას უბრუნდება სხვადასხვა დანიშნულებით. ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის კვლევისას დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო შესყიდვებისა და ტრანსფერტული გადასახადების შესწავლას. სახელმწიფო შესყიდვებს ხშირად „გამომფიტველს“ უწოდებენ, რადგან ისინი შთანთქავენ ან უშუალოდ იყენებენ რასურსებს. (1) ტრანსფერტული გადასახადები (უმუშევრობის დახმარება, სოციალური დაზღვევა და სხვ.) სახელმწიფო ხარჯების მნიშვნელოვანი ელემენტებია, რომელიც თანდათან უახლოვდება სახელმწიფო შესყიდვების წილს მთლიან ეროვნულ პროდუქტში.

განსხვავებულია სახელმწიფო სექტორის ხვედითი წონა სხვადასხვა ქვეყნებისათვის. იგი ძირითადად აისახება სახელმწიფო ხარჯის წილით მთლიან ეროვნულ პროდუქტში. გასული საუკუნის 80-90 იან წლებში ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციებში (ეთგო) შემაჯავალი ქვეყნების სახელმწიფო ხარჯი საშუალოდ წლიურად 2,7 %-ით იზრდებოდა, რის შედეგადაც მისი წილი მშპ - ში 26%-დან 47%-მდე გაიზარდა. ამავე პერიოდში აღინიშნებოდა სახელმწიფო მოხმარების მნიშვნელოვანი მატება. მისი წილი ეთგო -ს ქვეყნებში მთლიანი ეროვნული პროდუქტის საბოლოო მოხმარებაში 16,6%-დან 22,8%-მდე გაიზარდა. (2)

სახელმწიფო ხარჯები შეადგენს მშპ - ის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც ძირითადად ნაწილდება თავდაცვას, განათლებასა და ჯანმრთელობის დაცვაზე. დღეისათვის, აშშ-ში განათლებისა და თავდაცვის ხარჯები შეადგენდა მშპ - ის - 9,9%; გერმანიაში - 6%;

იაპონიაში - 5,6 %; საფრანგეთში - 8,2 %; შვედეთში - 10,4 %. (2) საქართველოში 2013 წლის მონაცემებით, განათლებაზე იხარჯება მშპ - ს 0,03 %, ჯანმრთელობის დაცვაზე - 0,08 %, თავდაცვაზე 0,02 % (3)

სახელმწიფო სექტორის ხვედრითი წონა ეკონომიკაში თანდათანობით მატულობს, რაც აისახება შრომითი რესურსების დასაქმების ზრდაზეც სახელმწიფო საწარმოებში. 1951-81 წლებში იგი გაიზარდა: შვედეთში 18 -და 39 %პროცენტამდე, დიდ ბიტანეთში 20-დან 35 %-მდე, საფრანგეთში 25-დან 35 %-მდე, აშშ-ში 17-დან 20 %-მდე. (4) ეს ძირითადად გამოწვეულია სხვადასხვა მოვლენებით, როგორცაა ეკონომიკური და ეკოლოგიური კრიზისები, ეკონომიკის მილიტარიზაცია, ურბანიზაციული პროცესების გააქტიურება, მოსახლეობის სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფა და სხვ.

მნიშვნელოვანი საკითხია სახელმწიფო საწარმოების ქონების მართვა, რამდენადაც მათი გარკვეული ნაწილი მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. განვითარების თანამედროვე ეტაპზე, საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში შეიმჩნევა ეკონომიკის კერძო სექტორის შემადგებლობაში სახელმწიფო საწარმოების მოქცევის ტენდენცია. ასეთ შემთხვევაში, ზოგიერთ დარგებში, სახელმწიფოსთან ერთად, დაფინანსების პროცესში მონაწილეობენ კერძო ინვესტორებიც, ე.ი. ხდება სახელმწიფო საწარმოთა „აქციონირება“. ასეთ საწარმოებს წარმოადგენენ სახელმწიფო კოლდინგები, რომლებშიც სახელმწიფო, როგორც წესი, საკუთრების 51 % -ს, ანუ აქციების საკონტროლო პაკეტს ფლობს, რაც ნიშნავს, რომ კოლდინგები ხასიათდება დივერსიფიკაციითა და მრავალფეროვნებით.

კოლდინგში შეიძლება გაერთიანდნენ ბანკები, მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის თუ მომსახურების სფეროს საწარმოები. დიდ ქვეყნებში მსხვილი სათაო კოლდინგები 100 -ზე მეტ საწარმოს ფლობენ და განაგებენ. კოლდინგური მართვის დიდი უპირატესობა ის არის, რომ როგორც დამოუკიდებელ იურიდიულ პირს, შეუძლია აიღოს კრედიტები ბანკებიდან, ინსტიტუციური ინვესტორებიდან, გამოუშვას საკუთარი აქციები და ობლიგაციები. ასეთ დროს სახელმწიფო მხოლოდ არაპირდაპირ კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო საწარმოებზე.

ეკონომიკაში კერძო და სახელმწიფო სექტორთა საქმიანობას შორის ფუნდამენტური განსხვავებაა. კერძო ფირმები შედარებით ეფექტურად მუშაობენ, ვიდრე სახელმწიფო საწარმოები. აქედან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება დამოკიდებულია დიდი რაოდენობით მცირე ფირმების არსებობაზე, რაც ხელს უწყობს ეროვნულ მეურნეობაში ძლიერი კონკურენციის განვითარებას. მაგრამ არსებობს საკითხები, რომელთა მოგვარებაც სახელმწიფოს პრეროგატივაა. თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, ზღვარის გაწვდნა კერძო და სახელმწიფო საკუთრებას შორის, კერძო და სახელმწიფო ბიზნესს შორის, ანუ ქვეყანაში რა მოცულობით უნდა იყოს კერძო და რა მოცულობით სახელმწიფო მეწარმეობა. აღნიშნული საკითხი მეტად საყურადღებოა, მისი განსაზღვრა შეიძლება მოხდეს ქვეყნის კონსტიტუციით. მაგალითად, აშშ-ის კონსტიტუციით, დაშვებული იყო უაღრესად მცირე დასახელების საქონლის წარმოება სახელმწიფოს მიერ, ქვეყნის ფედერალური ბიუჯეტის ხარ-

ჯვითი ნაწილი განსაზღვრული იყო მშპ -ის მხლოდ 2,6 % - ით, თუმცა შემდეგ პერიოდებში მოხდა მისი საგრძნობი მატება. ამას ქვეყანაში შეიძლება მოჰყვეს გადასახადების გადამხდელთა დაზარალება და გარკვეული ზღვარის გადალახვის შემდეგ - ეკონომიკის მკვეთრი დამუხრუჭება (5).

მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო საქართველოში სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობების დემონტაჟი, რაც გულისხმობდა ფართო მასშტაბიანი საპრივატიზაციო პროცესების განხორციელებას, საკუთრების სხვადასხვა ფორმით განსახელმწიფოებრივებას. თუმცა, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისათვის არ არის მიზანშეწონილი სახელმწიფო საკუთრების სრული ტრანსფორმაცია. ნაწილობრივი პრივატიზაციის, შერეული მეწარმეობის დასავლეთში აპრობირებული ფორმა საქართველოს ეკონომიკის განვითარების ორგანული ნაწილი უნდა გახდეს.

სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრივების გზით საკუთრების მრავალფორმიანობის დამკვიდრებამ საფუძველი ჩაუყარა მეწარმეობის ახალი ტიპის ფორმირებას ჩვენს ქვეყანაში. საქართველოს გადასვლა ახალი ტიპის ეკონომიკურ სისტემაზე, ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, მოითხოვდა შესაბამისი მეწარმეობის განვითარებისათვის აუცილებელი ისეთი პრინციპების შემუშავებასა და რეალიზაციას, როგორცაა კონკურენციის განვითარება, სამეწარმეო საქმიანობაში არჩევანის თავისუფლება, შრომის მოტივაციის ეფექტიანი მექანიზმის შექმნა, თავისუფალი ფასწარმოქმნის სისტემის დამკვიდრება, კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების შერწყმის მოქნილი მექანიზმის ჩამოყალიბება, ეკონომიკაში მარეგულირებელი როლის განსაზღვრა და ა.შ. (6) თუმცა, საქართველოში ეს პროცესი არასწორად განხორციელდა, რამაც გამოიწვია მრავალი სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტების არასამართლებრივი გასხვისება კერძო მეწარმეებზე, მათ შორის უცხოეთის მოქალაქეებზე.

საქართველომ განვითარების თანამედროვე ეტაპზე უნდა მოძებნოს ის ოქროს შუალედი, რომლის მიხედვითაც ოპტიმალურად დაბალანსდება ქვეყანაში კერძო და სახელმწიფო სექტორების საქმიანობა, რაც ეკონომიკის განვითარებას შეუწყობს ხელს.

ლიტერატურა

1. ნ. ჩიხლაძე, „ზოგადი ეკონომიკის“, ქუთაისი, 2008 წ. გვ. 54
2. ეკონომიკური თეორია, სახელმძღვანელო გადავიშვილისა და რ. ასათიანის რედაქციით, საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, თბილისი, 1998 წ. გვ. 183
3. წ.წ. გეოსტატ. გე
4. ლ. ჩიქავა, ეკონომიკური თორიის მოკლე კურსი, საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, თბილისი, 1997 წ. გვ. 95
5. ლ. ბაღცეროვიჩი, თავისუფლება და განვითარება, თავისუფალი ბაზრის ეკონომიკა. თბილისი, 2004 წ. გვ. 114-115
6. საქართველოს ეკონომიკა, რ. ასათიანის რედაქციით, საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, თბილისი, 2012 წ.